Advanced Technologies and Innovations Center
5 G.Chokhonelidze str. 0159, Tbilisi, Georgia
(+995) 599 355 101
bekar@atic.ge
atic.ge

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილეს ქ-ნ თამარ გაბუნიას

ქალბატონო თამარ,

პირველ რიგში, დიდ მადლობას გიხდით თქვენ და თქვენს გუნდს დაუღალავი შრომისა და მონდომებისთვის, რომლითაც ცდილობთ, გადაგვატანინოთ ეს რთული და გამოწვევებით სავსე პერიოდი.

გაცნობებთ, რომ სამოქალაქო საზოგადოება შესაძლებლობების ფარგლებში ვცდილობთ, ხელი შეგიწყოთ კრიზისის სხვადასხვა ეტაპის დაძლევასა თუ შემსუბუქებაში. ამ მიზნით, გავერთიანდით სხვადასხვა ორგანიზაცია - მოწინავე ტექნოლოგიებისა და ინოვაციების ცენტრი, Ad Hoc რეაგირების ცენტრი, სტარტაპი „ტვინი“ და Black Rooms Games - მოსახლეობასა და სახელმწიფოს ინტერესებზე მორგებული მობილური აპლიკაციის შესაქმნელად, რომელიც ხელს შეუწყობს სახელმწიფოს კორონავირუსის კრიზისის მართვაში და წაახალისებს მოქალაქეთა ჩართულობას მათი ცნობიერების ამაღლებითა და სამოქალაქო პასუხისმგებლობის გააზრებით.

ინიციატივის მხარდამჭერია აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის "სამოქალაქო საზოგადოების განვითარებისა და მოქალაქეების ჩართულობის პროექტი" (ACCESS), რომელსაც მხარს უჭერს ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტო (USAID).

აპლიკაციით ვცდილობთ ვუპასუხოთ ვირუსის პრევენციისთვის აუცილებელ მთავარ გამოწვევებს, როგორიცაა დაინფიცირებულის კონტაქტების კვლევის პროცესი და მოქალაქეთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის ამაღლება. აპლიკაციას ექნება სარეკომენდაციო და საგანმანათლებლო მიმართულება, სადაც სიმულირებული იქნება თვითიზოლაციის შიდა წესები და კორონავირუსის პირობებში ადამიანების ქცევის გამოსწორებისთვის აუცილებელი კომპონენტები; კონტაქტების დღიური, სადაც აღირიცხება მოქალაქის პერსონალური კონტაქტები, რათა ეპიდემიოლოგებს მყისიერად ჰქონდეთ ხელთ გასული ორი დღის მანძილზე ამ კონკრეტული მომხმარებლის გადაადგილებისა და კონტაქტების მთელი სქემა; stopcov.ge-სთან ინტეგრაცია სანდო ინფორმაციის მისაღებად (უფრო დეტალურად იხ. დანართი).

ვფიქრობთ, აღნიშნული ნაწილები გააძლიერებს მოსახლეობას საგანმანათლებლო და ყოფითი ქცევების ცვლილების მიმართულებით, რაც ერთიანობაში კრიზისის შემსუბუქებასაც შეუწყობს ხელს.

ზემოხსენებულიდან გამომდინარე, გთხოვთ, გვიშუამდგომლოთ შესაბამის სამსახურთან, რომელიც დაგვეხმარება კონტაქტების დღიურში შემავალი საჭირო ინფორმაციის გაზიარებასა და რეკომენდაციების კომპონენტის გაძლიერებაში, რათა ზუსტად ავსახოთ თქვენი საჭიროებები.

ასევე, გთხოვთ თქვენს მხარდაჭერას აპლიკაციის გამოქვეყნებაში კომპანია ეფლის პლატფორმაზე - App Store.

დამატებითი ინფორმაციისთვის, გთხოვთ, შეეხმიანოთ პროექტის მენეჯერს - მარიამ ჯაფარიძეს (ტელ: +995 555 10 10 40, mariam.japaridze503@gmail.com)

ერთობლივი მიზნების მიღწევაში თქვენი მხარდაჭერა და თანამშრომლობა ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია. იმედი გვაქვს, რომ ჩვენი თანამშრომლობა წარმატებული იქნება.

პატივისცემით,
ბექარ ოიკაშვილი
აღმასრულებელი დირექტორი

თარიღი: 20. 04. 2020